

რკინიგზების დღე

მ აგვისტო რკინიგზების დღეა ამ საზეიმო თარიღს რკინიგზის სახელობა მუშაობის ერთად აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი, ვინაიდან სოციალისტური მეურნეობის ეს უბანი ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესია ჩვენი დიადი სამშობლოს ცხოვრებაში. თუ, როგორც სამართლიანად ამბობენ, ქვანახშირი პურია, ხოლო ნავთი — სისხლი ჩვენი მრეწველობისა, რკინიგზა მისი არტერიაა,

რომლის მეშვეობით ხდება მთელი ჩვენი სიმდიდრის მიმოქცევა სახელმწიფოებრივი ორგანიზმის სხვადასხვა უბანში, რომლის პულსაციითაც განიზომება ქვეყნის ძალა და სიცოცხლისუნარიანობა. საბჭოთა რკინიგზებმა სახელობის ფურცლები ჩაწერეს სოციალიზმისა და კომუნისმისათვის მებრძოლი გმირი ხალხის ისტორიაში. იბადებოდა რა ოქტომბრის ქარცეცხლში, საბჭოთა ქვეყნის რკინიგზამ ღირსეულად იტვირთა

თავისი ხალხის ქირი და ღვნა როგორც სამოქალაქო ომისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერვენციის წლებში, ისე მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნების პერიოდში და ამ დიადი ბრძოლიდან გამოვიდა პირნათელი, განახლებული, მძლავრი — როგორც არასდროს. იგი გადაიქცა ისეთ მნიშვნელოვან ძალად, რომელმაც დიდი და დაუფასებელი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის მორალური და მატერია-

ლური ძალების უმკაცრესი გამოცდის გადატანაში — ფაშისტ დამპყრობთა განადგურებაში. ამიტომაც, რომ საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამკაცოს თავისი მძლავრი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი რკინიგზით და მისი სახელოვანი მუშაებით, რომლებმაც პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად უდიდესი რევოლუციური ნახტომი განახორციელეს წარსულის ტრადიციული ჩამორჩენილობიდან მსოფლიოში მოწინავეთა რიგებისაკენ. დღეს ჩვენი ვრცელი ქვეყანა დაფარულია რკინიგზის ისეთი ქსელით, რომლის საერთო სიგრძე, სიხშირე და მაღალტექნიკური აღჭურვილობა საუკეთესოა მთელს მსოფლიოში.

ჩვენი საზოგადოებრიობა ამაყობს რკინიგზული სპორტსმენებით, რომლებიც საბჭოთა სპორტის ავანგარდში მიაბიჯებენ და ღირსეული წვლილი შეაქვთ თავიანთ რიგებში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის აღმაშენების საქმეში. არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც ცნობილია რკინიგზული ფეხბურთელების, ფრენბურთელების, მძლეოსნებისა და სხვათა სახელები.

გარკვეული წარმატებები აქვთ საქართველოს ლოკომოტიველებსაც. მათ რიგებში აღზარდა, მაგალი-

თად, ნიჭიერი მძლეოსანი ლ. ანთაძე, რომელმაც მას ვინაიდან რკინიგზის საერთაშორისო თამაშებში დაიკავა პირველი ადგილი სპორტში ფეხბურთის გულშემოძრაობა სიმამათობი და იმსახურეს ქუთაისის „ლოკომოტივის“ სპორტსმენებმა, რომლებიც წარმატებით გამოდიან „ბ“ კლასის საკავშირო პირველობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს რკინიგზულ სპორტსმენთა ასეთი მიღწევები მათს მეხვეურებს თითებზე შეუძლიათ ჩამოთვალონ. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირთა II სპორტკაიდაზე რკინიგზელებმა მეტად დაბალი შედეგები აჩვენეს. ეს ფაქტი გადაჭრით უნდა დადგეს რესპუბლიკის საგზაო საბჭოს ყურადღების ცენტრში. დადგეს მანამ, სანამ საქართველოს რკინიგზული სპორტსმენები არ აღადგინენ თავიანთი საზოგადოების სპორტულ ღირსებას. საბჭოთა მეურნეობის მოწინავე უბანს მოწინავე სპორტული კოლექტივები უნდა შეაყდოს!

პროლეტარებო ყველა მშენებელი, შეერთდით!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО

Organ Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзам

№ 92 (1262) ○ კვირა, 3 აგვისტო, 1958 წ. ○ გამომცემის 80-15 წელი. ○ ფასი 30 კპა.



ამას წინათ გამართულ საერთაშორისო მძლეოსნურ მატჩში სსრკ-ს და მყარებულ იქნა ორი მსოფლიო რეკორდი, რომლის ავტორები არიან ამერიკელი რ. ჯონსონი (ათქილში) მარჯვნივ და საბჭოთა სპორტსმენი ო. რიბოვსკი (სამხტომში) — მარცხნივ. ფოტო: ა. ხომიჩისა



ამს გარდა საბჭოთა სპორტსმენ-

აგვისტო — დიდი შეჯიბრების თვე

აგვისტო მრავალ საინტერესო ღონისძიებას პირდება სპორტის მოყვარულებს. მათ შორის კომპლექსური შეჯიბრებებიდან აღსანიშნავია: მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკადა, რომელიც თბილისში ჩატარდება 17-24 აგვისტოს, პროფკავშირთა VI საკავშირო საზოგადოებრივი სპარტაკადა, რომელიც მოსკოვს გაიმართება (24-31) და „სპარტაკის“ საზოგადოებრივი სპარტაკადა.

აგვისტოშივე გაიმართება საკავშირო პირველობები: აკადემიურ ნიხონოვსკიში 3-დან 5-მდე მოსკოვში, ველსპორტში — 8-დან 10-მდე ტულაში, სოფლის-მორტარულ სპორტში — 15-21 კიევში, ხელბურთში — 16-24 ოდესაში, თანამედროვე ხუთქილიში — 24-31 გორკში.

ბი მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო შეხვედრებში. 14 აგვისტოს პრაღაში დაიწყება მსოფლიო პირველობა ბაიდარებითა და კანოით ნიხონოვსკიში. 19-24 აგვისტოს სტოკჰოლმში ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში, 22-31 აგვისტოს პოზნანში — ევროპის პირველობა აკადემიურ ნიხონოვსკიში.

მოსკოვში ამ წელს კიდევ ერთხელ ელის მსოფლიო პირველობის მონაწილეობა: 17 აგვისტოდან აქ დაიწყება უძლიერეს მსროლელთა შეჯიბრება.

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი

30 ივლისს კიევში ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე საზეიმო ვითარებაში აღიშორა სტუდენტთა სპორტული თამაშების ფინალური შეჯიბრების ალაში, მონაწილეებს მიესალმა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე აშ. ლ. დანილოვა და საკავშირო კომპოზიციის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი აშ. შეტელაინი.

ფინალურ თამაშებში მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადის და მოკავშირე რესპუბლიკათა 3500-ზე მეტი სტუდენტი, მათ შორის 800-მდე სპორტის ოსტატი და პირველთა რიგისა. შეჯიბ-

სტუდენტთა თამაშების ალაში ანკაზე ფრიალებს

რებები კალათბურთში, ჩოგბურთში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში დაიწყო 4 დღით ადრე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩოგბურთელებმა მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება. ფიზკულტურის ინსტიტუტის შორის სპორტის ამ სახეობაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი გამოვიდა შესამე ადგილზე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებმა დაამარცხა ვილნიუსის უნივერსიტეტის სპორტსმენებთან. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებმა არაობიექტური მსაჯობის წყალობით წააგეს ურალელ სპორტსმენებთან. თამაშების მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრების მსაჯს სახელო დაადო, მაგრამ მატჩის შედეგი დაპტკივებულ იქნა. წარუმატებლად გამოვიდა აგრეთვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელ ქალთა გუნდი, რის შედეგად ორივე კოლექტივი ვერ მოხვდა ფინალურ ჯგუფში.

დასწრებით ფარკაობაში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაყრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გ. კოსტავა, მ. ასათიანი, გ. კალმახელიძე, მოიპოვა პირველი ადგილი, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი გავიდა ფინალურ ჯგუფში.

დნეპროპეტროვსკის გზატკეცილზე გაიმართა ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომელიც მონაწილეობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის 8 გუნდი. საქართველოს ქალთა კოლექტივმა (კორჩაგინა, კოშკო, კარბენკო, კოკორინა) 25 კილომეტრზე რბოლაში მოიპოვა პირველი ადგილი მაღალი შედეგით — 38.50, ვეთა შორის გაიმარჯვეს კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის ველსიპედისტებმა. საქართველოს გუნდს წილად ხვდა მესამე ადგილი. ფინალურ თამაშებში წარმატებით გამოდის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ვეთა გუნდი, რომელმაც მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

საინტერესოდ მიმდინარეობს მძლეოსნთა შეჯიბრება. ა. ოვიანმა (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი) სიგრძეზე ბტო-მაში აჩვენა 5 მეტრი და 33 სმ, ხონინამ 100 მეტრი გაირბინა 12,5 წამში, ხოლო რ. ტრაპაიძემ ამ დისტანციაზე აჩვენა 10,8 წამი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: ჭიდაობა სამბოში ა. ზურაბაულს (თბილისი, „ბურევესტნიკი“), თავისუფალ ჭიდაობაში გ. ხალაძეს (თბილისი, „სპარტაკი“), ცხენოსნობაში ა. ბარნოვსკის (თბილისი, „სპარტაკი“), რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა ფრენბურთში ა. კალანაძეს (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

სარკორღო სიჩქარე

მინსკის საგარეუბნო გზატკეცილზე ამას წინათ გაიმართა შეჯიბრება ავტოსპორტში, სადაც საბჭოთა სპორტსმენებმა მაღალი კლასის შედეგები აჩვენეს. ე. ლორენტმა 350 კმ სმ კლასის ავტომობილით 1-კილომეტრიან დისტანციაზე ადგილიდან სტარტით განავითარა 221,5 კმ საათში, ხოლო ა. ამბროსენკოვმა 250 კმ სმ კლასის მანქანით „ზევზა“ — 6-ით ამავე


დისტანციაზე უჩვენა სისწრაფე 182,8 კმ საათში. ორივე ეს შედეგი აღემატება საერთაშორისო რეკორდს.

ნ. შუმილინმა სამთვლიან მოტოციკლზე (500 კმ სმ) ადგილიდან სტარტით 1 კილომეტრი გაიარა საათში 138 კმ სისწრაფით, რაც საკავშირო მიღწევაა.

სტუდენტთა თამაშები გრძელდება.

ა. ფალანდოვილი კიევი.

რ. ლეკვიშვილი, კლასიკური ჭიდაობაში მოხარული პირად-გუნდური საკავშირო პირველობაში გამარჯვებული.



24 აგვისტოს საბჭოთა ხადხი იზეიმებს ფიზკულტურედის დღეს, მოსკოვში გაიხსნება პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიადა

საპასუხისმგებლო ღონისძიების წინ

ამას წინათ დამთავრდა რესპუბლიკის პროფკავშირულ სპორტსმენთა II სპარტაკიადა, რომელმაც შეაჯამა საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციების მიერ ფიზკულტურასა და სპორტში გაწეული მუშაობა. გამოვლინდნენ ძლიერი ფიზკულტურული კოლექტივები, სპორტსმენები. ნათელი შეიქნა, რომ ის პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებიც მთელი გულით მთავრდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას მასობრივი ფიზკულტურის გაკეთების საქმეში, წარმატებით გამოვიდნენ ამ საპასუხისმგებლო სპორტულ ღონისძიებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე მიღებულ დადგენილებაში, რომელიც მიმართულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გამარჯვებისაკენ, აღნიშნულია პროფკავშირების დიდი როლი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დარგში. ეს დადგენილება კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენს სახელობის კომუნისტური პარტიის ზრუნვას საბჭოთა ახალგაზრდობაზე.

სპორტულ საზოგადოებათა რეორგანიზაციამ, ახალი, უფრო მძლავრი საზოგადოებების ჩამოყალიბებამ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას პროფკავშირულ ორგანიზაციებში. საგრძნობლად გაიზარდა სპორტის სახეობებში მომცადინეთა რიცხვი, უფრო საინტერესო გახდა კალენდარული და ამხანაგური შეჯიბრებები, ამაღლდა პროფკავშირულ სპორტსმენთა სპორტული ოსტატობის დონე.

საქართველოს პროფკავშირების II სპარტაკიადა ითვალისწინებდა ნათლად გვეჩვენა ჩვენი მზადყოფნა პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიადისათვის, რომელიც ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს.

საინტერესოა რა გვიჩვენა ჩატარებულმა შეჯიბრებამ, რა გამოვლინდა დადებითი და რა უარყოფითი?

საქართველოს პროფკავშირების სპარტაკიადაში მონაწილეობდა საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების 1000-მდე წარმომადგენელი, მათ შორის 11 სპორტის ოსტატი, 34 პირველთანრიგისანი, 102 მეორეთანრიგისანი და სხვ. შეჯიბრებები სპორტის მთელ რიგ სხვა სახეობაში ჩატარდა მაღალ დონეზე, საინტერესოდ, მონაწილენი თავგამოდებით იბრძოდნენ გამარჯვების მოპოვებისათვის.

პირველი ჯგუფის გუნდებიდან, როგორც მოხალდნელი იყო, გაიმარჯვა თბილისმა. წარმატება ხვდათ

წილად აფხაზეთის წარმომადგენლებს, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს აჭარის, ქუთაისისა და რუსთავის გუნდები, მეორე ჯგუფში ყველას აჯობეს სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, თუ სამხრეთ ოსეთის პროფკავშირული ორგანიზაციები მეტს იმუშავენენ სპორტის მასობრიობისათვის, ოლქის ახალგაზრდობაში სპორტის წამყვან სახეობათა დანერგვისათვის, ისინი შეძლებდნენ წარმატებით გამოვლას პირველი ჯგუფის გუნდებთან შეხვედრაში.

სპარტაკიადაში ძლიერი გუნდი გამოიყვანა ამიერკავკასიის მეტალურგიულმა ქარხანამ, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა ძირითად კოლექტივებს შორის. ეს იმას მოწმობს, რომ ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი ნაყოფიერად საქმიანობს მუშებისა და მოსამსახურეების ფიზიკურად გაკეთებისათვის. ქების ღირსია ქუთაისის ავტოქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაცია, რომელიც მეორე ადგილზე აღმოჩნდა ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებაში.

სპორტსაზოგადოებათა შორის დაძაბული ბრძოლა გაიმართა პირველი ადგილის მოპოვებისათვის. აქ ძლიერად გამოვიდა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ კოლექტივი, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა კრევში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, სასტენდო სროლაში, წყალში ხტომაში, ფეხბურთში. „ბურევესტნიკი“ პირველი იყო მხატვრულ ტანვარჯიშსა და ჩოგბურთში. უნდა ითქვას, რომ „ბურევესტნიკს“ უკეთესი შედეგების მოპოვება შეეძლო, რომ ამ საზოგადოების უძლიერესი სპორტსმენები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არ ყოფილიყვნენ საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლად. როგორც გასულ წლებში, ისე ახლაც, წარუმატებლად გამოვიდა სპორტსაზოგადოება „ლოკო-

მოტივი“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სპარტაკიადის მხოლოდ სამ სახეობაში (კლასიკური ჭიდაობა, სპორტული ტანვარჯიში, ფეხბურთი) და სამივეში ბოლო ადგილები დაიკავა. ეს გამოწვეულია იმით, რომ „ლოკომოტივი“ რაც დრო გადის მით უფრო აუარესებს თავის საქმიანობას, ნაკლებად ზრუნავს რეინიგულტა შორის ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისათვის, ძირითადი კოლექტივების სპორტულ სექციებში ნიჭიერი ახალგაზრდობის ჩაბმისათვის. ამიტომ იყო, რომ ამ შეჯიბრებაზე „ლოკომოტივი“ ძალზე სუსტად გამოვიდა. სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელობამ სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს განვლილი სპარტაკიადის შედეგებიდან.

ყველასათვის ცნობილია, რომ ფიზკულტურული მუშაობის საფუძველი ძირითადი კოლექტივია. ეს კოლექტივები ჩვენს რესპუბლიკის დედაქალაქში საკმაო რაოდენობითაა, მაგრამ მათგან ბევრი სინამდვილეში მხოლოდ ქალაქურ არსებობს და არ აწარმოებს არავითარ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ 275 კოლექტივიდან შიდასპორტული სპარტაკიადები ჩატარდა მხოლოდ 101-ში, ხოლო პროფკავშირების საქალაქო სპარტაკიადაში მონაწილეობდა სულ 40-მდე კოლექტივი. ამიტომ იყო, რომ ქალაქ თბილისის ნაკრებმა გუნდმა პროფკავშირების რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე შეძლო მხოლოდ მძლეონობაში გამარჯვება. საქირთა დედაქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მუშებისა და მოსამსახურეთა ჩაბმას ფიზკულტურულ საქმიანობაში.

სპარტაკიადამ გამოავლინა, რომ სპორტის ისეთი სახეობები, რო-

ნ. ხეთაბური
პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს მდივანი

გორიცაა ცურვა და მძლეონობა, სუსტადაა დანერგილი პროფკავშირულ ორგანიზაციებში. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ ცურვაში მონაწილეთა უმრავლესობამ ვერ აჩვენა ჩასათვლელი ნორმატივები, ძალზე ცოტა იყო მეორე თანრიგის შედეგები. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მძლეონობაშიც. აქ მხოლოდ ორმა სპორტსმენმა (ა. ოლაძე და ი. გიგაური) აჩვენა პირველი თანრიგის შედეგები. ერთობ ცოტა სპორტსმენი მონაწილეობდა მძლეონობის ისეთ სახეობაში, როგორცაა ქალთა რბენა 800 მეტრზე (4 მონაწილე), თარჯობები 110 მეტრზე (3 მონაწილე), კოკით ხტომა (3 მონაწილე), შუბის ტურცნა ქალთათვის (1 მონაწილე), სპორტული სიარული 20 კილომეტრზე (2 მონაწილე), ხოლო ათქიდეში 2 სპორტსმენიდან მხოლოდ ერთმა — მ. კოვანამ დაამთავრა შეჯიბრება.

სპორტის ამ სახეობაში თავისებური „რეკორდი“ დაამყარა გორის „განთიადის“ კოლექტივმა, რომლის მძლეონებმა ვერც ერთი ჩასათვლელი ნორმატივის ჩვენება ვერ შეძლეს და საბოლოოდ, გუნდმა 0 შეფასება მიიღო.



შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სპორტის სხვა სახეობებში, მაგრამ ვერც აქ ნაჩვენები შედეგები აკმაყოფილებენ ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დასახულ გარდამავალ ამოცანებს.

სპარტაკიადა დამთავრდა. ჩამოყალიბდა ნაკრები გუნდები სპორტის სახეობათა მიხედვით, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირების VI საკავშირო სპარტაკიადაში. ჩვენი ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ გულმოდგინედ მოვემზადოთ ამ საპასუხისმგებლო ღონისძიებისათვის, ვაჩვენოთ რაც შეიძლება უკეთესი შედეგები. ამას კი მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, თუ ნაკრები გუნდების წევრები, მწვრთნელები მაქსიმალურად გამოიყენებენ საკავშირო სპარტაკიადის გახსნამდე დარჩენილ დროს, მეტს იმუშავენენ თავიანთ თავზე, სისტემატურად აიმაღლებენ სპორტქიკურ მაჩვენებლებს.

მაგრამ პროფკავშირთა სპარტაკიადით როდი ამოწურება ჩვენი მუშაობა. წინ კიდევ უფრო დიდი

მნიშვნელობის ღონისძიებაა — ხალხთა II სპარტაკიადა, რომლის სასახელოდ შესხვედრად რესპუბლიკაში დიდი ხანია გაშლილია ფართო მოსამზადებელი მუშაობა. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირის წევრებს შორის უნდა გაშალონ ახსნაგანმარტებითი საქმიანობა, განმარტონ ხალხთა სპარტაკიადის მნიშვნელობა. მისი ამოცანები. უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველოს ნაკრებ გუნდებში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ დიდ ღონისძიებაში, მოხვდეს რაც შეიძლება ბევრი პროფკავშირული სპორტსმენი.

საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა, მათი ძირითადი კოლექტივის გადაუღებელი ამოცანაა ახლებურად მოაწყოთ თავიანთი საქმიანობა. ფიზიკური კულტურა და სპორტი მარტო თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ემსახურებოდეს ათასობით ადამიანის ფიზიკურად გაკეთების საქმეს და როცა ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში ჩავაბმით პროფკავშირის წევრთა რაც შეიძლება მეტ რაოდენობას, ნაყოფიერად წარვმართავთ სპორტული სექციების მუშაობას, ეს წარმატების მოპოვების საწინდარი იქნება. ამით ჩვენ საქმით ვუპასუხებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილებას, რომელმაც პროფკავშირებს დაუსახა ახალი ამოცანები — მეტი გააკეთონ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის



1953 წ. ნეპკოლი

1955 წ. კარლსრუე

1958 წ. გუდასეუსი



სსრკ-ის სპორტისთვის

ტელეფონის ზარის წკარუნე ყოველ ნახევარ წუთში მეორდება და უკვე დალოლი, ოდნავ ხრინწიანი ხმა ვინ იცის მერამდენჯერ ავტომატურად პასუხობს.

— გერ არავითარი ცნობა არ მიგვიღია.

გადის კიდევ ნახევარი წუთი, შეიძლება ნაკლებიც. ზარი კვლავ წკრიალებს და მოპასუხე უკვე აღარ ელოდება კითხვას.

— გერ არაფერი გავივია.

— შეიძლება სხვა საქმე აქვთ რამე—გაკვირვებით და ოდნავ ღიმილით ეკითხება თავმობურხებულ „ტელეფონისტს“ მეზობელი.

— ბუდაპეშტის მეთი დღეს არაფერი არ აინტერესებს ხალხს — პასუხობს მოკლედ „წამებულები“ და კვლავ იღებს მიღს ხელში.

ფიჭულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტშიც ყველა რაღაც მოლოდინით არის დაბუბრებული. სამუშაო საათი კარგა ხანია დამთავრდა, მაგრამ ოთახი, რომლის კარსაც უკიდობის განყოფილება აწერია, ხალხითა სავსე. ელიან ზარს, მაგრამ ისეთს კი არა, რომელმაც უკვე გულის გაწყალა...

კვლავ ამზურდა ტელეფონა, ამჯერად ხანგრძლივად. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ათობით წვეილი თვალი შეცქერის ახარას.

— გისმენთ მოსკოვი. — წამოიყვარა მაგიდასთან მჯდომმა და წამოდგა ფეხზე. ლაპარაკი დიდხანს არ გაგრძელდა, მაგრამ ცნობა, რომელიც ბუდაპეშტიდან მოვიდა, საინტერესო და სასიამოვნო გამოდგა. ჩვენი გუნდი მთელი შემადგენლობით აგრძელებს ბრძოლას, რომელიც დამთავრდება დღეს გვიან ღამეს. საოცარია, 8 წონიდან რვავე მოჭიდავეს აქვს შანსი გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. ეს, ასე ვთქვათ, თეორიულად. პრაქტიკულად კი ამას საღამოს შეხვედრები გვიჩვენებს.

ბევრი რამ არის დამოკიდებული დარჩენილ საათებზე. შეძლებს თუ არა თავისი ტიტულის შენარჩუნებას ოლიმპიური ჩემპიონი ბორის გურევიჩი? როგორი იქნება ახლგაზრდა დებოტანტის როსტომ აბაშიძის ფინალი და, რაც ყველაზე საინტერესოა, გახდება თუ არა გვი კარტოზია მსოფლიოს ჩემპიონი მესამედ?

სუმრობა საქმე ხომ არ არის, სამჯერ უძლიერეს ადამიანად აღიარება მსოფლიოში—ასე ვთქვათ, ოფიციალურად და ხუთჯერ არაოფიციალურად. ხუთჯერ იმითომ ვამბობთ, რომ ოლიმპიური თამაშები და მსოფლიოს თანხის გათამაშება თავისი მასშტაბით იგივეა, რაც მსოფლიო ჩემპიონატი.

რა ტყუილად იცან თქმა: ბედი თან დასდევს ძლიერსო. თუმცა ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ გამოწვევის ხანდახან თურმე ხალხურ სიბრძნესაც აქვს. აი, მაგალითად, გასულ მსოფლიო ჩემპიონატში გვი კარტოზიას ერთი დღის განმავლობაში ოთხჯერ მოუხდა საჭიდაოდ გამოსვლა. რას იტყვიან—„კარგი ბედი“? კი—დაობაში ასეთი შემთხვევა იშვიათია, მაგრამ იგი რატომღაც გვიხსნება წილად. მაშინ ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ფალავანმა არადადამიანურ პირობებში შეძლო თავისი სიძლიერის ჩვენება და საჩუქრად დადნის გვირგვინი და ოქროს მედალი მიიღო. გვი კარტოზია მაშინ გვიჩემო ჩემპიონად მონათეს. „ბედი“ არც წელს დაივიწყებო. უკანასკნელი ცნობა ბუდაპეშტიდან

იუწყებოდა, რომ გვიმ დღისით დაამარცხა რუმინელი მოჭიდავე ბაციუ და საღამოთი კიდევ სამჯერ უნდა გამოსულიყო ხალიჩაზე. ეს კი უკვე მეთისმეტი იყო. კენჭისყრის შემდეგ „სასიამოვნო“ ცნობამ გვიჩვენა არავითარი გავლენა არ მოახდინა. იგი ფიქრობდა როგორი ტაქტიკური გეგმა აერჩია ამა თუ იმ მოწინააღმდეგესთან, რომ უფრო მეტი ღონე და ძალა შეენახა გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

— ადრევე ვიყავი დარწმუნებული, რომ კენჭისყრა ჩემთვის უსიამოვნო იქნებოდა, — იგონებს ახლა გვი. — და ამიტომ გულგრილად შევხვდი მას. უფრო მეტად მწვრთნელი და ამხანაგები წუხდნენ, მაგრამ წუხილი ასეთ დროს ოდნავადაც არ არის ნუგეშის მომცემი. საბოლოო სიტუა გემზე იყო და რაღაც არ უნდა დამეფლოდა, უნდა მებრძოლა მოგებისათვის. თუ ჩემპიონობა გინდა, უნდა გაიჭიროო კიდევცო — იცის თქმა ჩემმა მეგობარმა და თანამოსაქმემ ვასო ილურიძემ, მე მოგებაც მიწოდდა და ჩემპიონობაც, ამიტომ ვარჩიე ხმათაუღებლად გადამეტანა გასაჭირი.

მოჭიდავეთა უცნაურ კატეგორიას ეუთვნის გვი. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ სპორტული ბრძოლების გამოცდილებაში მას ტოლი არა ჰყავს. ეს ალბათ იმიტომ, რომ მას ბევრ შეჯიბრებაში აქვს მონაწილეობა მიღებული და ყველაგან წარმატებით. იგი თამაშია, ჯიუტი და ეშმაკი. ყველა ეს თვისება ერთად აღებული არის გვი კარტოზიას სახელოვანი გამარჯვების მიზეზი. გვი ახირებულიცაა და სწორედ ახირებულებზე მინდა მოგვყვეთ, რადგან მან დიდი როლი ითამაშა გვიის უკანასკნელ წარმატებაში.

ხშირად უთქვამს გვიის, რომ საქართველოს არაერთგვაროვნად ჩემპიონი ვალდია მაისურაძე ბრწყინვალედ ფლობს ერთ ხერხს, რომელსაც „ტრიალი“ ეწოდება. მან რამდენიმეჯერ ცადა კიდევ ამ ილეთის შესწავლა, მაგრამ შუა გზაზე შეჩერდა და ხელი ჩაიქნია. ილეთი არ გამოიღო და ისე, როგორც ამას მიიხსურაძე აკეთებდა. ჩემპიონატის წინ ვარჯიშებზე გვიმ კვლავ გაიხსენა „მიხსურაძის ტრიალი“ და დაიწყო მისი დამუშავება. კვლავ უნაყოფოდ უკანასკნელ მომენტში მას ყოველთვის აკლდებოდა რაღაც მოძრაობა, რაღაც

ტრიონი და ტრიალიც არ გამოიღო და რაშია საქმე, ფიქრობდა იგი. მართლაც, გვი ხომ მაისურაძეზე უფრო ძლიერია, უფრო ტექნიკური და სხარტი (რა თქმა უნდა, ამ სიტუაციაში არ გვიწყენს ვალდია), მაგრამ რატომ არ გამოიღის მას ტრიალი?

ამხანაგებმა რამდენჯერმე ურჩიეს გვიის თავი დაენებინა ექსპერიმენტისათვის შეჯიბრების წინ და დაეხვეწა ის ილეთები, რომელსაც უკვე კარგად ფლობდა. გვიის ამ ახალი ახირების განსაკუთრებული მტრები იყვნენ დავით ციმბაური და ვასო ილურიძე. ბევრი იკამათეს, ბევრი იჩხუბეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ შეთანხმდნენ. გვი ჯიუტად იდგა თავისაზე და წარბსაც არ იხრია, ტრიალი კი არ გამოიღოდა.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში დატოვა გვიმ თბილისი და გაემგზავრა მოსკოვს საწვრთნელ შეკრებაზე. დაიწყო შეჯიბრებისა და გამაწყვეტი ვარჯიშები. გვიის პირველი და მთავარი ამოცანა იყო წონის შენარჩუნება დაახლოებით 84 კილოგრამზე. ეს კი იმას ნიშნავდა რომ ვარჯიშის შემდეგ დაღლილ სპორტსმენს ძალზე განსაზღვრული ღონით უნდა მიეღო საჭმელ-სასმელი. ზედმეტ ხუთ კილოგრამს კი იგი ყოველთვის მოუვლიდა.

გვიმ კვლავ დაიწყო ტრიალის დამუშავება. ამჯერად მისი პარტნიორი ქვემომე წონის მოჭიდავე ტაჩოვი იყო. საქმე კუს ნაბიჯით მი-

დოდა წინ და გვიმ დაიწყო ფიქსტრინით. შეხვედრის ბედის რი იმის შესახებ, რომ ამხანაგე-შეტრიალმა მათ უკვე დაი შეიძინა მართალი იყვნენ. მართლაც, ლოთ, რადგან ეს მხოლოდ მათგან დრო ცოტა დარჩა და უნაყოფო არ იყო დამოკიდებული. ბაირაკმა ექსპერიმენტებს უკვე აზრი აღარა და სიმინმა დაუარის ფარხლო, ჰქონდა. მაგრამ ერთ დღეს, სწორედ ბუდაპეშტში გამგზავრების წინ გვიმ ცადა უკანასკნელად, ასე ჩემპიონთან შეხვედრაც საკმაოდ ვთქვათ, გამოსათხოვრად.

ილეთი შესრულდა უნაკლოდ. ბიკოს ცადა კიდევ ერთხელ — ჩინევი კვლავ დაუმარცხებლად გამობულად გამოვიდა. კიდევ, კიდევ, დიოდა.

ტაჩოვი წუსტად ერთსა და იმავე დროს მძლავრი მოძრაობის შედეგად ხილზე დგებოდა. ბოლოსდაბოლოს ჩაიწერა აქტივში, მაგრამ რუმინხარულმა ღიმილმა გადაწერა გვიის აქამდე მოღუ-

სული სახეს. აი თურმე როგორ აკეთებდა ტრიალს მაისურაძე. ახლა უკვე გვიის ხელში გახდა ეს ხერხი მძლავრი იარაღი, რომლითაც უნდა გამასპინძლებოდა იგი მოწინააღმდეგეებს...

— ჯიუტია, ამბობენ ჩემზე, რა ვუყოთ, სიჯიუტე მე ხშირად მშველის, — ამბობს გვი, როცა თავის ამ ახალ „ახირებას“ იგონებს.

იმ ღამეს ტელეფონის ზარი „კიდაობის განყოფილებაში“ აღარ ისმოდა. მოუხვეწარ სპორტის მოყვარულთა გრძელი რიგები მეორე დღით საკმაოდ სიძველეს წინ იდგა. სასიამოვნო ცნობა მოსკოვს პირველად „პრავდამ“ აცნობა. მასხოვს, როგორი შიშით შლიდნენ გაზეთს (მათ შორის მეც) ამჯერად უკვე გვი კარტოზიას თავანისმცემლები და როგორ უბრწყინვალდა სახე, როცა სამგზის ჩემპიონის ნაცვობ პორტრეტს მოკრავდნენ თვალს. მოკლე, ლაკონური ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრებმა მოიგო პირველობა, რა თქმა უნდა, ვერ ასახავდა იმ მძაფრი სპორტული ბრძოლის ატმოსფეროს, რაც ოთხი დღის განმავლობაში სუფევდა ბუდაპეშტში. ეს შეუძლებელიცაა. უნდა იყო იქ. ყველაფერი ნახო და განიცადო.

როცა გვიის ვთხოვეთ მოეყოლა რამე მისი შეხვედრების შესახებ, მან ასე გვიპასუხა:

— მოსაყოლი არაფერი მაქვს. შეიძლება მოვიდავს შეხვედი და ყველას მოვუყვე. არ დავმალავთ — გამიჭირდა ბოლო დღეს, მაგრამ ამას მხოლოდ ახლა ვგრძნობ. იქ კი გამსჭვალული ვიყავი მხოლოდ გამარჯვების სურვილით. მეტს მე ვერაფერს ვგრძნობდი, ვერაფერს ვხედავდი. თითქოს დაკანონდა, რომ საშუალო წონაში იყოს ყველა ძლიერი მოჭიდავე. ბევრ მათგანს გვი კარგად იცნობდა გასული შეჯიბრებით — ისინი ყველანი ანგარიშსაცემები იყვნენ. ახლგაზრდა შთაბეჭდილებები შექმნა მხოლოდ მათი გამოვლენებით იყო შესაძლებელი და გვი დარწმუნებული იყო არც მათთან შეიძლებადა ხუმრობა. ისე კი მთავარი მეტოქე და კონკურენტი ბულგარეთიდან ჩამოსული მაღალი, დაკუნთული ქაბუკი იყო, რომელსაც გვი ჯერ კიდევ მეზღურნო გაცნო. დობრეგვან ბრძოლას საბოლოო სიტუა უნდა ეთქვა ჩემპიონატში — გრძნობდა გვი და ცდილობდა შეენახა ძალები ამ შეხვედრისათვის.

ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა თურქმა ბაირაკმა და იუგოსლაველმა სიმიჩმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონის პოზიციაზე შეე-

სუსტებინათ. შეხვედრის ბედის რი იმის შესახებ, რომ ამხანაგე-შეტრიალმა მათ უკვე დაი შეიძინა მართალი იყვნენ. მართლაც, ლოთ, რადგან ეს მხოლოდ მათგან დრო ცოტა დარჩა და უნაყოფო არ იყო დამოკიდებული. ბაირაკმა ექსპერიმენტებს უკვე აზრი აღარა და სიმინმა დაუარის ფარხლო, ჰქონდა. მაგრამ ერთ დღეს, სწორედ ბუდაპეშტში გამგზავრების წინ გვიმ ცადა უკანასკნელად, ასე ჩემპიონთან შეხვედრაც საკმაოდ ვთქვათ, გამოსათხოვრად.

ილეთი შესრულდა უნაკლოდ. ბიკოს ცადა კიდევ ერთხელ — ჩინევი კვლავ დაუმარცხებლად გამობულად გამოვიდა. კიდევ, კიდევ, დიოდა.

ტაჩოვი წუსტად ერთსა და იმავე დროს მძლავრი მოძრაობის შედეგად ხილზე დგებოდა. ბოლოსდაბოლოს ჩაიწერა აქტივში, მაგრამ რუმინხარულმა ღიმილმა გადაწერა გვიის აქამდე მოღუ-

სული სახეს. აი თურმე როგორ აკეთებდა ტრიალს მაისურაძე. ახლა უკვე გვიის ხელში გახდა ეს ხერხი მძლავრი იარაღი, რომლითაც უნდა გამასპინძლებოდა იგი მოწინააღმდეგეებს...

5. გუბაშვილი

სურათზე: ოლიმპიური ჩემპიონების გვი კარტოზიას და თურქ მუნთარ ბაირაკის შეხვედრის მომენტი.



გათამაშების ცხრილი


მდგომარეობა 3 აგვისტოსათვის ძირითადი შემადგენლობაში	თ. მ. ვ. ბ. ქ.
„სპარტაკი“	13 8 4 1 33:15 20
„ცსკ მო“	14 7 4 3 26:15 18
„ზენიტი“	12 6 4 2 25:13 16
„ზახტიორი“	13 6 3 4 14:15 15
„ლოკომოტივი“	12 5 4 3 20:14 14
„დინამო“ მ.	12 5 2 5 21:17 12
„ტორპედო“	12 3 6 3 29 26 12
„დინამო“ თბ.	13 5 2 6 24:36 12
„დინამო“ კ.	12 2 6 4 19:19 10
„მოდლოვა“	13 2 5 6 15:27 9
„ქ. სოვეტი“	12 1 6 5 7:15 8
„ადმირალტ.“	14 3 0 11 17:88 6


მოსკოვი. 31 ივლისი. მორიგ მატჩში სსრ კავშირის პირველია ზაზე ერთმანეთს შეხვდნენ ცსკ მო (მოსკოვი) — „ქ. სოვეტი“ (კუბინოვი). თამაში მოიგეს არმიელებმა — 1:0.

მოსკოვი. 1 აგვისტო. აქ შედგა მატჩი დედაქალაქის გუნდებს „სპარტაკსა“ და „ტორპედოს“ შორის. გამარჯვებულნი სპარტაკელებმა — 3:2.

კიშინოვი. 1 აგვისტო. ადგილობრივმა „მოლოდოვამ“ თავის მინდორზე მიიღო კიევის „დინამო“. მატჩი დამთავრდა „მოლოდოვას“ გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ლენინგრადი. 1 აგვისტო. მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „ზენიტი“ და „ადმირალტეცი“. ანგარიშით 4:0 გამარჯვა „ზენიტმა“.





სპარტაკიადის პროგრამით

სტალინის სახელით დაარსებული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების პროგრამით

დღის შემდეგ თანაბარი ქულებით წინ იყვნენ თბილისისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრები გუნდები, მაგრამ ფინალურ შეხვედრაში დღეს თბილისელებმა შეძლეს უპირატესობის მოპოვება და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის, ხოლო მესამეზე — ქუთაისელი მოქიდავეები.

საინტერესოდ ჩატარდა პირადი პირველობა ყველა წონის კატეგორიაში. უმჩატეს წონაში ყველა შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარა სამხრეთ ოსეთის ჯუნდის წარმომადგენელმა გაგიევამ და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მხატვ წონაში ჩემპიონი გახდა თბილისელი კუბრეიშვილი, ქვემსუბუქ და მსუბუქ წონაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ვ. ცხოვრებოვი (სამხ. ოსეთი) და თ. ვასიანი (თბილისი).

ქვესაშუალო წონის ფინალში გაიმარჯვა ვ. კურტანიძემ. შემდგომ წონის კატეგორიებში პირველი ადგილები დაიკავეს კ. ვართანოვმა, გ. თევზაძემ და ვ. ლავაურმა (სამხრეთ ოსეთი).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩამოყალიბდა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო სპარტაკიადებში.

ს უ რ ა თ ე: თბილისის მოქიდავეთა გუნდი.



იზრძოლებენ საკრიშო აღვილებსათვის

მ აგვისტოს ლენინგრადში დაიწყო საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ქალაქში მოსწავლეთა შორის. ტურნირში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოს, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის გუნდები. თვითუღ გუნდში 8 ქაბუჯი და 4 გოგონა მოქალაქეა.

ორი დღის წინ ლენინგრადში გაგამგზავრდნენ საქართველოს მოქალაქეები. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში გუნდის უფროსმა მწვრთნელმა საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. ქარსელაძემ განაცხადა:

— გუნდურ პირველობაში ჩვენ ყოველივეს კარგად ვამზადდებით, მაგალითად, გასულ წელს მესამე ადგილი დაგვიკავთ. ვფიქრობ, წლევანდელ პირველობაში ცოტათი გაგაძლიერდებით.

პარაპარაფიკთა მსოფლიო ჩემპიონი

ამ დღეებში ახალი საკავშირო და მსოფლიო რეკორდი დაამყარა ქ. გომელის აეროკლუბის ინსტრუქტორ-პარაპარაფიკთა ნ. გრომიკომ. 600 მეტრის სიმაღლიდან სიწუსტეზე დაშვებულ (პარაპარაფიკთა) მან ორივე წრის ჯამში მიადგინა საუკეთესო შედეგი — იგი წრის ცენტრს დაცილდა მხოლოდ 2 მეტრით და 63 სანტიმეტრით, რაც პ. ბანიკოვის ძველ საკავშირო და მსოფლიო რეკორდზე უკეთესია.

თასი — შედეგიან თავდამსხმელს

მას შემდეგ, რაც გადაწყდა ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში, მექსიკის საფეხბურთო ფედერაციამ ფფა-ს აჩუქა თასი, რომელიც უნდა გადაეცემა თავდამსხმელს. ამჟამად თასზე უნდა ამოკვეთილი უფოლიყო ამ თავდამსხმელის გვარი.

1930 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბურთი (8) გაიტანა არგენტინელმა სტაბილემ, რომელიც თასის პირველი მფლობელი გახდა, კემ (ურუგვაი) გაიტანა 2 ბურთი, მ-მ გაიტანეს ნეტემ (ბრაზილია), პეტელიმ (არგენტინა), ბეკმა (იუგოსლავია) და კეტელმა (აშშ).

1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატში 5-5 ბურთი გაიტანეს ჩეხოსლოვაკელმა ნედელიმ და გერმანელმა კონენმა. იტალიელებმა შიავიომ, ორზიმ, მუცამ და შვეიცარიელმა კილბოლემ გაიტანეს 3-3 ბურთი.

1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატში 7 ბურთი გაიტანა ლეონარდო (იტალია), 6 — უნგერელი (უნგრეთი), 5 — პოლონი (პოლონეთი) და კალუსმა (ორივე იტალია).

1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თასის მფლობელი გახდა ბრაზილიელი ადემირი, რომელმაც 8 ბურთის გატანით გაიმეორა სტაბილეს მიერ დამყარებული რეკორდი, მეორე ადგილზე (6 ბურთით) გამოვიდა ურუგვაელი სტაბილი.

1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატში 11 ბურთი გაიტანა კოჩინმა (უნგრეთი), 6-6 — მორლოკმა (გერ) და პრინსმა (ავსტრია).

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თასი დაისაკუთრა 24 წლის ფრანგმა უიუსტ ფონტენმა, რომლის შედეგი (13 ბურთი) სარგებლოა ჩემპიონატების გათვალისწინებით ისტორიაში. 6-6 ბურთი გაიტანეს ბრაზილიელმა პეტელმა და გერმანელმა რანმა.

ახალი ნაერთი სარბენი ბილიკისათვის

ქალაქ ბოსტონის (ინგლისი) უნივერსიტეტის მძლავრია გუნდის მწვრთნელმა დოუგ რაბმონდმა გამოიგონა ახალი, თრიაკონალური ნაერთი, მძლავრად სარბენი ბილიკისათვის. 85-პროცენტით ნორმალურ ნაერს იგი უმატებს 15 პროცენტ ასფალტს. ასეთი ხერხით დამზადებული სარბენი ბილიკი ელასტიკური და მდგრადია წვიმის შემდეგაც კი. წყალი სწრაფად ეშრება ნაერთის სიღრმეში ისე, რომ არ არბილებს მას.




ბოლოსდაბოლოს რა აიძულებს ახალგაზრდობას გახდეს პროფესიონალი მოკრივე? ამ კითხვებზე შეძლებისდაგვარად ლუისის სიტყვებით ვუბნახებოთ:

„მხოლოდ ერთი გარემოება აიძულებს ახალგაზრდა კაცს იბრძოლოს ჩემპიონობისათვის. ეს არის მძიმე დრო. კაცი, რომელსაც არა აქვს საქმელი, იცეპს მოკრივის ხელთათმანს, მიდის რინგზე და ცდილობს გროუბში იშოვოს სადილისათვის... თუ თქვენ გადახედოთ ჩემპიონების სიას დაინახებთ, რომ ყველა ისინი გამოვიდნენ სილტაკიდან. ჯექ დემსი მუშაობდა შაბტებში, ტვირთადა ვაგონებში, თბილის ორბოვში. ჯექ ჯენდრისი შექვაბე იყო და გროუბს იღებდა. ჯექ ჯონსონი — შავი მუშა, ჯინ ტუნიე სახლგაო ჯარსკაცი და ყველა ისინი წავიდნენ რინგზე, რადგან ჰქონდა სურათი“.

„მხოლოდ მათხოვარ ვახდომის საშინელება აიძულებს ადამიანს გახდეს პროფესიონალი მოკრივე. — წერდა სახელგანთქმული ჩემპიონი ჯექ დემსი. — მოკრივე მთელ თავის ძალას ტოვებს რინგზე ვინაიდან იცის, რომ თუ გამოარჯევს, მას ექნება ცოტა რამ სადილისათვის და თუ წაიგებს — კვლავ მშვიდი დარჩება. მე ეს ვიცი ჩემი ცხოვრების გამოცდილებიდან... ვიბრძობ რინგზე, რათა მიმეღო ორნახევარი დოლარი“.

სხვა მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში ჯო უოლკოტა ლაპარაკობს: „მშვიდი ხშირი სტუმარი იყო ჩემს ოჯახში. ყველაზე უფრო მე ვიმიწოდებდი. სადილისათვის დრო ბევრი მქონდა, მაგრამ სადალი არსად იყო. კვების პრობლემა პირველი პრობლემა იყო ჩემი ოჯახისათვის. გამოვედი რინგზე, რომ შესაძლებლობა მქონოდა კუჭი გაძლიერებოდა ანუ კარტოფილით მაინც. ვეცემოდი არა დარტყმებისაგან, არამედ შიმშილისაგან და გაიმარჯვე მხოლოდ მაშინ, როცა ვაუტყვი“.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 90, 91.



პროფესიონალურ კრივში ჩემპიონი თავის წოდებას ინარჩუნებს მანამ, სანამ არ დამარცხდება მეტოქესთან. ტურნირი ტარდება მხოლოდ მაშინ, თუ მსოფლიო ჩემპიონი როგორც იტყვიან „რინგიდან დაუმარცხებლად მიდის“. წესების მიხედვით ჩემპიონი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც მიიღოს მონაწილეობა მატჩებში.

სამოყვარულო წესები უკრძალავს მოკრივეებს შეხვდნენ პროფესიონალებს; იმას, ვინც ამ წესს დაარღვევს არ დაუშვებენ მოყვარულთა შემდგომ შეჯიბრებებზე. დასაყრდენი სა-მოყვარულო კრივი პროფესიონალიზმის რეზერვია, მაგრამ იშვიათად, რომ მოყვარულმა მოკრივემ მიადწიოს პროფესიონალურ რინგამდე. 50 წლის განმავლობაში მხოლოდ შეიღმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეძლო მსოფლიო ჩემპიონად გახდომა პროფესიონალთა შორის. უნგრელმა მოკრივემ ლასლო პაპმა სპორტული ინტერესის გამო გასულ წელს გადაწყვიტა თავისი ძალა გამოეცადა პროფესიონალურ რინგზე. მან მიიბოვა სამი გამარჯვება გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში, მაგრამ მისმა 30 წლის ასაკმა და ბრძოლის არაპროფესიონალურმა მანერამ სათანადო ყურადღება ვერ მიიქცია. პაპი დაბრუნდა სამშობლოში და დაიწყო მწვრთნელად მუშაობა.

ჯო ლუისის ბედისწილის შესახებ მკითხველებმა იციან მისი ღია წერილის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩემი ჟურნალის 1957 წლის №8-ში. იგი რინგიდან წავიდა დაუმარცხებელი 1949 წელს და შემდეგ გაყოტრდა. 1950-51 წლებში იგი აწყობდა საჩვენებელ გამოსვლებს და როცა აქ წარმატება ვერ მოიპოვა, 1952 წელს კვლავ დაუბრუნდა რინგს და აქაც დამარცხდა. შემდგომ იგი ცეკვედა ღამის კაბარეში, გამოდიოდა საცერკო ბალავანში. ამჟამად იგი ხანდახან სჯის შეჯიბრებას, უმთავრესად ლუდით ვაჭრობს ბარში. ოცნანი წლების მსოფლიო ჩემპიონების დემსისა და ტუნიეს ცხოვრება უფრო კარგად მოეწყო.

დემსი ამჟამად 64 წლისაა და ნიუ-იორკის ერთ-ერთი რესტორანის მფლობელია, ხოლო ტუნიე ერთ-ერთი კომერციული ფირმის განყოფილების გამგედ მუშაობს.